



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტული ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №41/28

2019 წლის 30 მაისი

ქ. თბილისი

**„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული
კომისიის ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლების, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹, 106² და 106⁵ მუხლების თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – დადგენილების პროექტის შესახებ მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 11 ივლისი.
3. „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 1 ოქტომბერი.
4. დაევალოს კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს, უზრუნველყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ცნობის კომისიის ვებ-გვერდზე განთავსება.

5. დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს უზრუნველყოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

7. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

8. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

